

ჭიათურის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი

2018 წლის ბიუჯეტი

ჭიათურის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების, პროგრამების მათი აღწერის, მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორები

ბოლო წლებში არჩეული სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართულმა სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის, რითაც თავის მხრივ უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, ჭიათურის მუნიციპალიტეტში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, კულტურის დასვენებისა და სპორტის სფეროების განვითარება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე 2017-2020 წლებში მუნიციპალიტეტის სტრატეგია უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, სოციალური პირობების გაუმჯობესებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას.

ჭიათურის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;
- განათლება;
- კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.
- თავდაცვა;

ჭიათურის მუნიციპალიტეტის ძირითადი მონაცემები 2016-2021 წლებში

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა	2018 წლის პროექტი	2019 წლის პროგნოზი	2020წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი
შემოსულობები	17754,9	18388,002	13202,0	13612,0	13617,0	13627,0
შემოსავლები	17655,4	18353,002	13178,4	13178,4	13178,4	13178,4
არაფინანსური აქტივების კლება	99,5	35,0	23,6	23,6	23,6	23,6
ფინანსური აქტივების კლება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
შემოსავლები	17655,4	18353,002	13178,4	13178,4	13178,4	13178,4
გადასახადები	3699,4	3270,0	3080,0	3080,0	3080,0	3080,0
საშემოსავლო გადასახადი	734,0	850,0	580,0	580,0	580,0	580,0
ქონების გადასახადი	2965,4	2420,0	2500,0	2500,0	2500,0	2500,0

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა	2018 წლის პროექტი	2019 წლის პროგნოზი	2020წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1170,8	1165,0	835,0	835,0	835,0	835,0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	5,2	5,0	5,0	5,0	5,0	5,0
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	0,0	5,0	5,0	5,0	5,0	5,0
არაეკონომიკუ რი საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე	5,2	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	123,1	100,0	20,0	20,0	20,0	20,0
ფიზიკურ პირებიდან	14,7	15,0	3,0	3,0	3,0	3,0
იურიდიულ პირებიდან	108,3	85,0	17,0	17,0	17,0	17,0
არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	1666,3	1150,0	1640,0	1640,0	1640,0	1640,0
ფიზიკურ პირებიდან	24,4					
იურიდიულ პირებიდან	1641,9	1150,0	1640,0	1640,0	1640,0	1640,0
სხვა გადასახადები ქონებაზე	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სხვა გადასახადები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
გრანტები	11196,5	8567,75	5647,3	6057,3	6062,3	6072,3
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	20,1	5,18	0,0	0,0	0,0	0,0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	11176,3	8562,57	5647,3	6057,3	6062,3	6072,3
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	6807,3	5457,3	5647,3	6057,3	6062,3	6072,3
გათანაბრებითი ტრანსფერი	6575,3	5225,3	5415,3	5825,3	5830,3	5840,3

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა	2018 წლის პროექტი	2019 წლის პროგნოზი	2020წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	232,0	232,0	232,0	232,0	232,0	232,0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	4369,0	3105,27	0,0	0,0	0,0	0,0
რეგიონების ფონდის პირველადი განაწილება	3125,3	3105,27	0,0	0,0	0,0	0,0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	868,5	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
მაღალმთიანი განვითარების ფონდი	375,2	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სხვა შემოსავლები	2759,5	6515,25	4451,1	4451,1	4451,1	4451,1
შემოსავლები საკუთრებიდან	2521,9	5508,31	4321,1	4321,1	4321,1	4321,1
პროცენტები	60,5	70,0	80,0	80,0	80,0	80,0
დივიდენდები	2,9	3,0	3,0	3,0	3,0	3,0
რენტა	2458,4	5435,31	4238,1	4238,1	4238,1	4238,1
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	2427,7	5413,81	4216,0	4216,0	4216,0	4216,0
სხვა არაკლასიფიცირებული რენტა	28,8	20,0	20,5	20,5	20,5	20,5
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	1,9	1,5	1,6	1,6	1,6	1,6
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	87,4	906,94	30,0	30,0	30,0	30,0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	87,4	906,94	30,0	30,0	30,0	30,0
სანებართვო მოსაკრებელი	15,3	2,0	5,0	5,0	5,0	5,0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0,4	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
საჯარო	0,1	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა	2018 წლის პროექტი	2019 წლის პროგნოზი	2020წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი
ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი						
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	38,7	866,94	0,0	0,0	0,0	0,0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	33,0	0,0	25,0	25,0	25,0	25,0
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	103,1	100,0	100,0	100,0	100,0	100,0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	47,2	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
არაფინანსური აქტივების კლება	99,5	35,0	23,6	23,6	23,6	23,6
ძირითადი აქტივები	37,4	35,0	22,0	22,0	22,0	22,0
მატერიალური მარაგები	28,5	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
მიწა	33,6	0,0	1,6	1,6	1,6	1,6
ფინანსური აქტივების კლება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
საშინაო	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
საგარეო	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

2016-2017 წლების მოკლე მიმოხილვა

ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შესრულება

ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2015 წლის 29 დეკემბერს N40 დადგენილებით 11582.0 ათასი ლარის ოდენობით. დამტკიცებულ ბიუჯეტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები გრანტების ოდენობა განსაზღვრულია სულ 6807.3 ათასი ლარის ოდენობით, აქედან გათანაბრებითი ტრანსფერი 6575.3 ათასი ლარი და დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 232,0 ათასი ლარი. ადგილობრივი შემოსავლები განისაზღვრა 4774.7 ათასი ლარის ოდენობით

2016 წლის განმავლობაში (იანვარ - დეკემბერში) ბიუჯეტის მიმართ 10-ჯერ განხორციელდა ცვლილება და ბიუჯეტის შემოსულობების მოცულობა განისაზღვრა **17289.088** ათასი ლარით. (ფულადი ნაშთის ჩათვლით **19380.58** ათ. ლარით), საიდანაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები გრანტებია **11318.99**. ათასი ლარი. მათ შორის გათანაბრებითი ტრანსფერი **6575.3** ათასი ლარი. მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად **232.0** ათასი ლარი. ევროკავშირის მიერ პროექტის „ურბანული განვითარების სტრატეგიების შემუშავება ისტორიულ ქალაქებში ადგილობრივი მოსახლეობის აქტიური მონაწილეობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით“ (COMUS), ფარგლებში ჭიათურის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი გრანტი 20.7 ათასი ლარი, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან **4490.99** ათ ლარი. აქედან „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის N175 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან **2760.061** ათ ლარი მიმართული უნდა ყოფილიყო: მემორიალი-რგანი-ხრეთის საავტომობილო გზის აღსადგენად 750.086 ათასი ლარი; ფრანგიშვილისა და გაგარინის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის აღსადგენად 358.150 ათასი ლარი, საჩხერის გზატკეცილი - სოფელ ზოდის საავტომობილო გზის აღსადგენად 930.776 ათასი ლარი; ჭიათურა-ხვაშითის საავტომობილო გზის აღსადგენად 246.049.0 ათასი ლარი. ჭიათურაში N1,N2,N3,N4, და N7 საბავშვო ბაღების სარეაბილიტაციოდ 475.0 ათასი ლარი; აღნიშნული პროექტები განხორციელდა, აუთვისებელი თანხა 136.183 ათასი ლარი შემცირებული იქნა საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 დეკემბრის N2501 განკარგულებით და დარჩა **2623.878** ათასი ლარი, ამავე განკარგულებით 73.119 ათასი ლარით შემცირდა საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 მაისის N803 განკარგულებით ნინოშვილის ქუჩაზე ტროტუარებისა და ფასადების აღსადგენად გამოყოფილი 596.7 ათასი ლარი და დარჩა **523.581** ათასი ლარი. 2016 წლის N1251 განკარგულებით მაღალმთიანი რეგიონების განვითარების ფონდიდან რგანი ხრეთის გზის აღსადგენად გამოყოფილი იქნა **475.0** ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 19 თებერვლის N265 განკარგულებით სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი იქნა **868.508** ათ. ლარი.

ადგილობრივი შემოსავლები განისაზღვრა **5910.1** ათასი ლარით, მათ შორის საგადასახადო შემოსავლები **3055.4** ათასი ლარი, არასაგადასახადო შემოსავლები **2854.7** ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლებით შემოსავალი განისაზღვრა **60.0** ათასი ლარი.

2016 წლის პირველი იანვრისათვის საბიუჯეტო სახსრების ფულადი ნაშთი შეადგენდა 2092.4 ათ.ლარს, მათ შორის :

ქიათურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შემოსულობების ანალიზი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფაქტიურმა შემოსულობებმა, 2016 წლის IV კვარტალში (იანვარ - დეკემბრის თვეში) შეადგინა **17754.8** ათ ლარი, წლიური შემოსულობების გეგმის **17289.088** ათასი ლარის **102.7 %** . გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 456.5 ათასი ლარით მეტი შემოსულობებია წლის განმავლობაში ბიუჯეტში შემოსული. ზრდის ტემპი შეადგენს 1.03-ს. საკუთარი შემოსავლები (საგადასახადო და სხვა შემოსავლები) შემოსულია **6458.9** ათასი ლარი. მათ შორის გადასახადების სახით შემოსულია **3699.4** ათ. ლარი, გეგმის **3055.4** ათასი ლარის **121.1 %** და არასაგადასახადო შემოსავლების სახით (სხვა შემოსავლები) **2759.5** ათ. ლარი. გეგმის **2854.7** ათასი ლარის **96.7 %**. გადასახადების სახეობებიდან საშემოსავლო გადასახადი მეწარმე ფიზიკური პირებიდან შემოსულია 734.0 ათასი ლარი, გეგმის 820.0 ათასი ლარის 89.5 %. საწარმოთა ქონების გადასახადი შემოსულია 1170.8 ათ. ლარი, (გეგმა შეადგენდა 976.8 ათას ლარს), შემოსავლის ეს სახეობა შესრულებულია 119.7%-ით. ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი 5.2 ათასი ლარი, (გეგმა 5.0 ათასი ლარი). არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი შემოვიდა 1666.3 ათ. ლარი, გეგმის 1233.6 ათასი ლარის 135.1 %, სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე 123.1 ათასი ლარი, გეგმის 20.0 ათასი ლარის 615.5% სხვა შემოსავლებიდან (არასაგადასახადო შემოსავლები), პროცენტები დარიცხული საბიუჯეტო სახსრების ყოველდღიურ ნაშთზე მომსახურე საბანკო დაწესებულებაში, შემოსულია 60.5 ათ ლარი, გეგმის 163.0 ათასი ლარის 37.1 %, მუნიციპალურ ქონებაზე დაფუძნებულ საწარმოთა საქმიანობიდან დივიდენდებმა შეადგინა 2.9 ათასი ლარი. ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელი ჩაირიცხა ბიუჯეტში 2427.7 ათ. ლარი გეგმის (2421.8 ათასი ლარის) 102.3 %. მათ შორის წიაღით სარგებლობის მოსაკრებელი ჩაირიცხა 2341.6 ათ. ლარი, ტყის ფონდის მერქნული რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი 22.9 ათ. ლარი, წყლის რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი 35.8 ათ. ლარი, გადამფრენი ფრინველების ამოღებიდან 2.2 ათ. ლარი. სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი 25.2 ათ. ლარი. შენობა-ნაგებობების იჯარა შემოსულია 28.8 ათ. ლარი, (გეგმა 10.0 ათასი ლარი) გეგმა შესრულებულია 288.0 %-ით, მიწის იჯარა 1.9 ათ. ლარი. (გეგმა 1.0 ათ.ლარი), შესრულებულია 190.0 %-ით, სანებართვო მოსაკრებელი 15.3 ათ.ლარი, (გეგმა 1.9 ათ. ლარი) შესრულებულია 805.3 %-ით. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი 38.7 ათასი ლარი, გეგმის 54.0 ათასი ლარის 71.7 %,

დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი 33.0 ათ. ლარი, გეგმის 70.0 ათასი ლარის 47.1 %, საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი 0.07 ათასი ლარი, სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი 0.4 ათასი ლარი, სანქციებიდან და ჯარიმებიდან შემოსავალმა შეადგინა 103.1 ათ. ლარი, (გეგმა 133.0 ათასი ლარი) შესრულებულია 77.5 %-ით. აქედან საგზაო მოძრაობისა და სატრანსპორტო მეურნეობის წესების დარღვევისთვის შემოსული ჯარიმა შეადგენს 49.1 ათას ლარს, გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის სფეროში დარღვევებისთვის 11.8 ათას ლარს, სხვადასხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისთვის 42.2 ათას ლარს. სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავალი შემოსულია **47.2** ათასი ლარი (ხელშეკრულებების დარღვევებისთვის). ამ სახეობაში გეგმა არ ყოფილა გათვალისწინებული.

არაფინანსური აქტივების ცვლილებით (კლებით) იანვარ - დეკემბრის თვეში ბიუჯეტში შემოსულია 99.5 ათ. ლარი, გეგმით 2016 წელში უნდა შემოსულიყო 60.0 ათასი ლარი, შესრულება შეადგენს 165.8%-ს. აქედან ძირითადი აქტივების გაყიდვიდან შემოვიდა 37.4 ათასი ლარი, არაწარმოებული აქტივებიდან (მიწა) 33.6 ათასი ლარი, მატერიალური მარაგებიდან 28.5 ათ.ლარი.

ცენტრალური ბიუჯეტიდან იანვარ-დეკემბრის თვეში ჩამოირიცხა გათანაბრებითი ტრანსფერი 6575.3 ათასი ლარი, ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების გასახორციელებლად 232.0 ათასი ლარი. ევროკავშირის მიერ პროექტის „ურბანული განვითარების სტრატეგიების შემუშავება ისტორიულ ქალაქებში ადგილობრივი მოსახლეობის აქტიური მონაწილეობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით“ (COMUS), ფარგლებში ჭიათურის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი გრანტი 20.1 ათასი ლარი, ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები 4369.0 ათასი ლარი, მათ შორის რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 3125.3 ათასი ლარი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამიდან 868.5 ათასი ლარი, საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების განვითარების ფონდიდან- რგანი ხრეთის გზის აღსადგენად 375.2 ათასი ლარი.

სულ 11196.5 ათასი ლარი. (შემოსავლები სახეობების მიხედვით იხ. დანართი)

ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ასიგნებები

მუნიციპალიტეტის 2016 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის დაზუსტების შედეგად ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა **19380.58** ათასი ლარით. გაწეულმა საკასო გადასახდელებმა შეადგინა **18622.0** ათასი ლარი, ათვისებულია გეგმიური მაჩვენებლის **96.1** %. მათ შორის:

2016 წლის ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვრა 11616.1 ათასი ლარით. გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 11404.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 98.2 %-ია. არაფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 7675.6 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდის ფაქტიურმა მაჩვენებელმა შეადგინა 7153.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 93.2 % -ს შეადგენს.

ვალდებულების კლებაზე (გასული წლის დავალიანებების დაფარვა) გაცემულია **64.5** ათასი ლარი, გეგმა შეადგენდა **88.9** ათას ლარს. მუნიციპალიტეტის ასიგნებებიდან:

1). წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებას მოხმარდა **3264.5** ათასი ლარი, გეგმიური მაჩვენებლების **3360.3** ათასი ლარის **97.2** %. აქედან მიმდინარე ხარჯებმა შეადგინა 2645.1 ათასი ლარი (გეგმა 2730,7.0 ათასი ლარი), არაფინანსური აქტივების შექმნას მოხმარდა **586.9** ათასი ლარი გეგმიური თანხის **595.2** ათასი ლარის **98.6** %. გასული წლის დავალიანების დასაფარავად მიმართული იქნა **32.5** ათასი ლარი. (გეგმა 34.4 ათთ.ლარი). წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ასიგნებებიდან საკრებულოს დასაფინანსებლად მიმართული იქნა **626.6** ათ. ლარი. დაფინანსდა **96.9** %-ით (გეგმა **646.9** ათასი ლარი). მუნიციპალიტეტის გამგეობის დასაფინანსებლად **2637.9** ათ. ლარი, დაფინანსდა **97.2**%-ით (გეგმა **2712.8** ათ.ლარი) 2) გამგეობის სარეზერვო ფონდიდან მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 01 მარტის N51 236 ბრძანების შესაბამისად გამოყოფილი იქნა **3.8** ათ.ლარი, რომელიც მოხმარდა ფანცულაიას ქუჩაზე მდებარე ავარიული კორპუსის გადამაგრებას. მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 01 აპრილის N 51 431 ბრძანების შესაბამისად გამოყოფილი იქნა **18.0** ლარი რომელიც მოხმარდა სოფელ ბერეთისაში მდებარე დაზიანებული ხიდის აღდგენას, რომლიდანაც გაწეული იქნა ხარჯი 17397,92 ლარი. 2016წლის 27 აპრილის N51/584 ბრძანებით გამოყოფილი იქნა **42593** ლარი რომელიდანაც 37421,34 ლარი მოხმარდა ჭიათურაში ტოლსტოის ქუჩაზე სტიქიის შედეგად დაზიანებული საყრდენი კედლის აღდგენას. მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 15 აგვისტოს N51/1642 ბრძანებით გამოყოფილი **8226** ლარიდან 7991 მოხმარდა სოფელ ბეგიაურზე დაზიანებული ხიდბოგირების აღდგენას. მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 24 ნოემბრის N51 2866 ბრძანებით გამოყოფილი იქნა **10810** ლარი სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლებისა და საბავშვო ბაღის სახურავების გადასამაგრებლად,საიდანაც 6611.5 ლარი გაიხარჯა საცხოვრებელი სახლების სახურავებზე, 413.55 ლარი N 9 საბავშვო ბაღის დაზიანებული სახურავის აღდგენაზე. მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 26 დეკემბრის N 51 3233 ბრძანებით მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის ცენტრს გამოეყო **16589** ლარი, აქედან ათვისებული იქნა სერვის ცენტრის მიერ 14720 ლარი. მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 29 დეკემბრის N51 3253 ბრძანებით გამოყოფილი იქნა **18411** ლარი დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის ცენტრისათვის, რომლის ათვისებაც 2016 წელში ვერ მოესწრო. მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 29 დეკემბრის N51 3254 ბრძანებით გამოყოფილი იქნა ჭიათურაში სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების აღდგენაზე **11637** ლარი, რომლის ათვისებაც 2016 წელში ვერ მოესწრო. სულ სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი იქნა სხვადასხვა ბრძანებით 130070 ლარი ,ვაქტიურად ათვისებული იქნა 88355.25 ლარი.

3) თავდაცვას, საზოგადოებრივი წესრიგსა და უსაფრთხოების დაფინანსებას მოხმარდა **134.6** ათასი ლარი, რაც მთლიანად სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის შესანახად იქნა მიმართული. დაფინანსდა

95.1 %-ით (გეგმა 141.6 ათ. ლარი).

4.) მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციაზე გამოყოფილი ასიგნებების საკასო შესრულება 2016 წლის იანვარ - დეკემბრის თვეში შეადგენს **7722.1** ათას ლარს, დაფინანსდა 94.0 %-ით (გეგმა **8211.8** ათასი ლარი) მათ შორის: ა). საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა შენახვაზე გაიხარჯა **4758.0** ათასი ლარი (გეგმა **4963.4** ათ.ლარი), დაფინანსდა 95.9 %-ით, საიდანაც გზების მშენებლობაზე, რეკონსტრუქციასა და მოვლა შენახვაზე გაიხარჯა 4289.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 95.6 %-ით (გეგმა 4488.9 ათასი ლარი), საბაგირო გზების სუბსიდირებას მოხმარდა 188.0 ათასი ლარი (გეგმა 188.0 ათ.ლარი) დაფინანსდა 100%-ით. საგზაო ნიშნების, საგზაო ბარიერების... მოწყობასა და სხვა სამუშაოებზე გახარჯული იქნა 280.9 ათ. ლარი რომელიც მოხმარდა მოაჯირების მშენებლობას, ფირნიშების დამზადებას და სხვადასხვა სახის საგზაო სამუშაოებს. (გეგმა 286.5 ათასი ლარი), დაფინანსდა 98.1%-ით. ბ). კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლუატაციას მოხმარდა **2203.8** ათასი ლარი, დაფინანსდა **96.3** %-ით (გეგმა **2289.4** ათასი ლარი), აქედან წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციაზე გაიხარჯა **120.3** ათ.ლარი (გეგმა **120.9** ათ.ლარი) დაფინანსდა **99.5** %-ით, სანიაღვრე არხების აღდგენაზე 82.4 ათ.ლარი (გეგმა 119.7 ათ.ლარი), დაფინანსდა 68.8%-ით, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სერვის ცენტრის ანგარიშზე ქალაქის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის ღონისძიებების გასახორციელებლად გადარიცხული იქნა 1252.0 ათასი ლარი (გეგმა 1276.5 ათასი ლარი) დაფინანსდა 98.1 %-ით. საყრდენი კედლის მოწყობაზე გაიხარჯა 296.5 ათასი ლარი (გეგმა 306.0 ათასი ლარი) დაფინანსდა 96.9%-ით, მუნიციპალიტეტის ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამაზე გაიხარჯა 437.4 ათასი ლარი (გეგმა 451.1 ათ. ლარი) დაფინანსდა 97.0 %-ით, საიდანაც ლიფტების შექმნაზე გაიხარჯა 89.7 ათასი ლარი, სახურავების შექმნაზე 33.7 ათასი ლარი, ფასადების შეკეთებაზე 314.0 ათ.ლარი. გარე განათების აღდგენასა და გაფართოებაზე გაიხარჯა 15.2 ათასი ლარი (გეგმა 15.2 ათ ლარი). გ). ქალაქის კეთილმოწყობის ღონისძიებებზე გაიხარჯა **42.4** ათსი ლარი, რომელიც მთლიანად მოხმარდა სკვერების მოვლა პატრონობას, (გეგმა შეადგენდა **42.4** ათას ლარს) დაფინანსდა **100** პროცენტით. დ). სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტების დასაფინანსებლად მიმართული იქნა **718.0** ათასი ლარი, დაფინანსდა **78.3** %-ით. (გეგმა **916.7** ათ.ლარი). აქედან საქართველოს მთავრობის 2016 წლის 19 თებერვლის N265 დადგენილებით გამოყოფილი 868.5 ათასი ლარიდან ათვისებულია 701.6 ათასი ლარი, ხოლო 16.4 ათასი ლარი გახარჯული იქნა საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 მარტის N506 განკარგულებით იგივე მიზნით გამოყოფილი ფულადი სახსრების წლის ბოლოსათვის დარჩენილი ნაშთიდან.

5. განათლების

ღონისძიებებზე გაიხარჯა **2525.7** ათასი ლარი, რომელიც მთლიანად მიმართული იქნა სკოლამდელი დაწესებულებების (გაერთიანებული საბავშვო ბაღი) დაფინანსებაზე, დაფინანსდა 97.7 %-ით (გეგმა **2584.8** ათ. ლარი), აქედან 1866.9 ათასი ლარი გაცემულია სუბსიდირების სახით, 654.8 ათასი ლარი საბავშვო ბაღების

არაფინანსური აქტივების ზრდაზე (სარემონტო სამუშაოების დასაფინანსებლად), 4.0 ათ.ლარი გასული წლის დავალიანების დასაფრავად. **6.** სპორტის განვითარების ხელშეწყობას მოხმარდა **1398.5** ათასი ლარი, დაფინანსდა 99.1 %-ით (გეგმა **1410.6** ათასი ლარი). აქედან 1106.8 ათასი ლარი მიმართული იქნა სუბსიდირებაზე, 236.1 ათასი ლარი საფეხურთო კლუბის გრანტებზე, 55.6 ათასი ლარი არაფინანსური აქტივების შეძენაზე. **7.** კულტურის განვითარებას მოხმარდა **2035.9** ათ. ლარი (გეგმა **2058.0** ათასი ლარი), დაფინანსდა 98.9 %-ით, აქედან 1447.0 ათასი ლარი მოხმარდა კულტურის ობიექტების სუბსიდირებას, 582.4 ათასი ლარი მიმართული იქნა ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის დრამატული თეატრზე გრანტის სახით, 6.4 ათასი ლარი მოხმარდა არაფინანსური აქტივების შეძენას. **8.** ახალგაზრდული პროგრამების დასაფინანსებლად მიმართული იქნა **164.5** ათასი ლარი. (გეგმა **165.9** ათ.ლარი) დაფინანსდა 99.2 %-ით. პროგრამის ფარგლებში განხორციელებული იქნა წარმატებული სტუდენტების, მოსწავლეების, სპორტსმენების პედაგოგების ჯილდოების გაცემა, სხვადასხვა ინტელექტუალურ-შემოქმედებითი ღონისძიებებისა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ახალგაზრდების ტრანსპორტირების ხარჯების დაფინანსება. **9.** რელიგიის ღონისძიებები დაფინანსდა **95.0** ათასი ლარით, (გეგმა **95.0** ათ. ლარი) დაფინანსდა 100 პროცენტით. **10.** მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე გახარჯული იქნა 2016 წელში **1281.3** ათასი ლარი, დაფინანსდა 94.7 %-ით. (გეგმა **1352.6** ათასი ლარი), აქედან საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებებს მოხმარდა **120.4** ათ. ლარი. დაფინანსდა 98.0 % (გეგმა **122.9** ათ.ლარი). სოციალურ პროგრამებზე გაიხარჯა **1160.9** ათასი ლარი, დაფინანსდა 91.5 %-ით (გეგმა **1229.7** ათ.ლარი). მათ შორის: ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოც. დაცვაზე მიმართული იქნა **700.9** ათ. ლარი, უმწეო და მიუსაფარი 160 მოქალაქის კვებაზე (უფასო სასადილო) გაიხარჯა **74.4** ათასი ლარი, ომის ვეტერანთა და ტერიტორიული მთლიანობისათვის გარდაცვლილთა ოჯახების დასახმარებლად **63.7** ათასი ლარი, ომის ვეტერანთა დაკრძალვაზე **1.8** ათ.ლარი, ოჯახებისა და ბავშვების დახმარებაზე **238.8** ათ. ლარი, სტიქიური უბედურებით მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად **42.9** ათასი ლარი. მოსახლეობის სოც. დაცვაზე **38.4** ათ.ლარი, (ხარჯები სახეობების მიხედვით იხ. დანართი).

2017 წლის 03 იანვრისათვის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სახსრების ფულადი ნაშთი შეადგენდა **1225.3** ათ. ლარს, მათ შორის ცენტრალური ბიუჯეტის თანხებზე **330.4** ათას ლარს, საკუთარ სახსრებზე **894.9** ათას ლარს . მათ შორის

ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის გადამუშავებული პროგნოზები

ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2017 წლის 3 თებერვალს N1 დადგენილებით 10346.3 ათასი ლარის ოდენობით. დამტკიცებულ ბიუჯეტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები გრანტების ოდენობა

განსაზღვრული იყო სულ 5457.3 ათასი ლარის ოდენობით, აქედან გათანაბრებითი ტრანსფერი 5225.3 ათასი ლარი და დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 232,0 ათასი ლარი. ადგილობრივი შემოსავლები განისაზღვრა 4854.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის 3270.0 ათასი ლარი გადასახადების სახით და 1584.0 ათასი ლარი სხვა შემოსავლების სახით. არაფინანსური აქტივების კლებით შემოსავალი განისაზღვრა **35.0** ათასი ლარი.

2017 წლის იანვარ - ნოემბრის თვეში ბიუჯეტის მიმართ 7-ჯერ განხორციელდა ცვლილება და ბიუჯეტის შემოსულობების მოცულობა განისაზღვრა 18388.0 ათასი ლარით.(ფინანსური აქტივების ცვლილებების ჩათვლით 19594.0 ათასი ლარი) მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები 5.2 ათასი ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერები 8562.6 ათასი ლარი. აქედან გათანაბრებითი ტრანსფერი 5225.3 ათასი ლარი. მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად **232.0** ათასი ლარი. „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 3105.3 ათ ლარი. ადგილობრივი შემოსავლები განისაზღვრა **9785.3** ათასი ლარით, მათ შორის საგადასახადო შემოსავლები **3270.0** ათასი ლარი, არასაგადასახადო შემოსავლები **6515.2** ათასი ლარი. არაფინანსური აქტივების კლებით შემოსავალი განისაზღვრა **35.0** ათასი ლარით.

ჭიათურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებებიდან:

1. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება განისაზღვრა **3181,2** ათასი ლარით, აქედან საკრებულოს დასაფინანსებლად მიმართული იქნა **613,1** ათ. ლარი. მუნიციპალიტეტის მერიის დასაფინანსებლად **2568,1** ათ. ლარი.
2. გამგეობის სარეზერვო ფონდიდის ოდენობა განისაზღვრა 99,4 ათ. ლარით.
3. წინა წლებში წარმოქმნილი დაბალიანებისა და სასამართლო აღსრულების ფონდი 20,0 ათასი ლარით.
4. თავდაცვის დაფინანსება განისაზღვრა **121,9** ათასი ლარით.
4. მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციაზე გამოყოფილია 9449,0 ათასი ლარი, მათ შორის: მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია ფინანსდება 6171,0 ლარით,საგზაო ნიშნების დამონტაჟება და სხვა სამუშაოები 159,9 ათასი ლარით, საბაგირო გზის სუბსიდია 200,0 ათასი ლარით, წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია 366,7 ათასი ლარით, სანიაღვრე არხები 48,5 ათასი ლარით, დასუფთავების ღონისძიებები 1321,0 ათასი ლარით, საყრდენი კედლის მოწყობა 357,9 ათასი ლარით, მუნიციპალიტეტის ამხანაგობების დაფინანსება 210,3 ათასი ლარით, გარე განათების აღდგენა 214,2 ათასი ლარით, სკვერების აღდგენა 67,7 ათასი ლარით, სოფლის მხარდამჭერი პროგრამა 332,0 ათასი ლარით.

5. განათლების დაფინანსებაზე მიიმართა **2584,1** ათასი ლარი.

6. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები დაფინანსდება 2851,1 ათასი ლარით, მათ შორის: სპორტის განვითარების ხელშეწყობა 1080,0 ათასი ლარით, კულტურის განვითარების ხელშეწყობა 1556,6 ათასი ლარი, ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება 154,4 ათასი ლარი, რელიგიის დაფინანსება 60,0 ათასი ლარი.

7. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალური უზრუნველყოფის დაფინანსებაზე მიიმართება 1287,2 ათასი ლარი, მათ შორის: საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსებაზე მიიმართება 116,0 ათასი ლარი, სოციალურ პროგრამებზე 1171,2 ათასი ლარი.

2018-2021 წლების ჭიათურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, მოსალოდნელი შედეგები და შეფასების ინდიკატორები

1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელი უბნების ეზოების, დასასვენებელი პარკების, მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა, საყრდენი კედლების და გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია, მოვლა-პატრონობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

პროგრამული კოდი	დასახელება	2017 წლის გეგმა	2018 წლის პროექტი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	9448,991	3583.460	3760,960	3765,960	3770,960
03 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა	6530.931	1502.767	1680,267	1680,267	1680,267

პროგრამული კოდი	დასახელება	2017წლის გეგმა	2018 წლის პროექტი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი
03 01 01	გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	6170.987	1307.767	1490,267	1495,267	1500,267
03 01 02	საგზაო ნიშნების დამონტაჟება და მაგისტრალური მონიშვნიითი სამუშაოები საგზაო ბარიერების მოწყობა და სხვა სამუშაოები	159.944	0,0	0,0	0,0	0,0
03 01 03	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები (საბაგირო გზა)	200,0	195,0	195,0	195,0	195,0
03 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	2518.445	1819,573	1814,573	1814,573	1814,573
03 02 01	წყალმომარაგება	366,695	146,573	146,573	146,573	146,573
03 02 02	სანიაღვრე არხები	48,448	5,0	0,0	0,0	0,0
03 02 03	დასუფთავება	1321,0	1228,0	1228,0	1228,0	1228,0
03 02 04	საყრდენი კედლები	357.864	150,0	150,0	150,0	150,0
03 02 05	ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	210.270	260,0	260,0	260,0	260,0
03 02 07	გარე განათება	214.168	30,0	30,0	30,0	30,0
03 03	მუნიციპალიტეტი ს კეთილმოწყობის ღონისძიებები	67.664	261,120	261,120	261,120	261,120

პროგრამული კოდი	დასახელება	2017წლის გეგმა	2018 წლის პროექტი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი
03 03 01	მწვანე ნარგავების განაშენიანება, სკვერების მოვლა პატრონობა ავარიული ხეების მოჭრა	67.664	261,120	261,120	261,120	261,120
03 04	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები	331,951	0,0	0,0	0,0	0,0

1.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის დასაბუთება, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე

მუნიციპალიტეტში სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვების დიდი ნაწილი ავტოტრანსპორტზე მოდის, ამიტომ საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს ახალი/მეორე ხარისხოვანი საავტომობილო გზების, სასოფლო და შიდაკვარტალური გზებისა და ხიდების მშენებლობა რეაბილიტაციის აუცილებლობა. მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილების მიზნით ჭიათურის მუნიციპალიტეტში აუცილებელი ხდება საგზაო ბუგორების და მოაჯირების შეკეთება მოწყობა. ვინაიდან ჭიათურა წარმოადგენს მთა-გორიან ადგილს, მოსახლეობის გადაადგილებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი საშუალებაა საბაგირო გზა. საბაგირო გზის რეაბილიტაციის დასრულებამდე შპს ჭიათურბაგირგზები ავტოტრანსპორტით მოემსახურება მგზავრებს საბაგირო გზის არსებული მიმართულებით.

პროგრამის აღწერა

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება, ახალი/მეორე ხარისხოვანი გზების, სასოფლო გზების და შიდაკვარტალური გზების რეაბილიტაცია. ასევე განხორციელდება საბაგირო გზის დაფინანსება.განხორციელდება ფეხით მოსიარულეთათვის კიბეების მოწყობა და მოაჯირების შეკეთება-მოწყობა.

1.1.1.გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისადა მოვლა-შენახვის ხარჯები(პროგრამული კოდი 03 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ჭიათურაში გზების მოასფალტება შემდეგ ქუჩებზე: გაგარინის ქუჩის გზის დარჩენილი მონაკვეთები, თორღვაშვილის ქ. N2,4,6,8 და 10, ჭანტურიას ქუჩა N4-14 და მეოთხე ბაღთან მისასვლელი, წმ.გერმანეს ქუჩა კერძო სახლებთან, საჭოს ქუჩის დარჩენილი მონაკვეთები, ბელიაშვილის ქუჩის დარჩენილი მონაკვეთები, კოსტავას ქუჩის N27-ის შესახვევი, ჩაჩანიძის ქუჩის ჩიხი კერძო სახლებთან. აგრეთვე დაგეგმილია ჭავჭავაძის ქუჩის ტროტუარის კეთილმოწყობა,

რეგიონალური განვითარების ფონდიდან გზების რეაბილიტაციისათვის განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება და საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის საპროექტო სამუშაოები, კერძოდ: ქალაქის ტერიტორიაზე საბაგირო სადგურების მიმდებარედ (ტაბიძის, წმ. გიორგის, აღმაშენებლის, თხელიძის და 9 აპრილის ქუჩებზე), ჩაჩანიძის, 9 აპრილის, ლეჟუნის, ტაბიძის, ჭანტურიას, ერისთავის, აღმაშენებლის, იაშვილის, თხელიძის, ყაზბეგის, მადაროელთა მოედნის ქუჩების და სოფლების: წინსოფელი ჭილოვანის დამაკავშირებელი გზის, სოფელ ცხრუკვეთის (1200 მ² გზის მობეტონების) და სოფელ ჭილოვანის (მუხების უბნის მისასვლელი).

1.1.2 მილსადენი და სხვა სახის სპეციალური ტრანსპორტი (პროგრამული კოდი 03 01 03)

ვინაიდან ჭიათურა წარმოადგენს მთა-გორიან ადგილს, მოსახლეობის გადაადგილებისათვის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს საბაგირო გზა. საბაგირო გზის რეაბილიტაციის დასრულებამდე შპს „ჭიათურბაგირგზები“ უზრუნველყოფს საბაგირო გზის მიმართულებით მოსახლეობის სატრანსპორტო მომსახურებას ავტოტრანსპორტით.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- მგზავრთა კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სატრანსპორტო მომსახურებით კმაყოფილების დონის ზრდა;

1.2. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის დასაბუთება, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა, მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, ასევე ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გათავისუფლება. მუნიციპალიტეტში მაწანწალა ცხოველების არსებობა სხვადასხვა ვირუსული დაავადების და ცოფის გავრცელების ძირითად საფრთხეს წარმოადგენს, ამიტომ აუცილებელია მოსახლეობის მაწანწალა ცხოველებისგან დაცვა. ჭიათურის მუნიციპალიტეტის რელიეფიდან და კლიმატური პირობებიდან გამომდინარე (დიდთოვლობა) მნიშვნელოვანი ხდება ზამთრის პერიოდში გზების ტექნიკური მარილით დამუშავება და ჭარბი თოვლისაგან გაწმენდა.

ჭიათურის მუნიციპალიტეტის ერთერთ პრიორიტეტულ ამოცანას წარმოადგენს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ინსტიტუტის განვითარებისა და საერთო საკუთრებაში არსებული ქონების მოვლა პატრონობა; ქუჩების და დასახლებების იერსახის და მოქალაქეთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესობა.

ჭიათურის მთა-გორიანი მდებარეობის გამო მოსახლეთა ტერასული დასახლებიდან გამომდინარე საყრდენი კედლები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საცხოვრებელი თუ ინფრასტრუქტურული ობიექტების შეკავებისათვის, რომელთა გარკვეული ნაწილი დღეისათვის ავარიულ მდგომარეობაშია აუცილებელი ხდება მათი მოწყობა და რეაბილიტაცია.

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს განათებული ქუჩები, ამისათვის აუცილებელია გარე განათების ქსელის გაფართოება და არსებული გარე განათების ქსელის მოვლა-შენახვა.

პროგრამის აღწერა

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მრავალსართულიანი სახლების კეთილმოწყობა, გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული გარე განათების ქსელის მოვლა-შენახვა, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება და მაწანწალა ცხოველებისგან დაცვა, განხორციელდება საყრდენი

კედლის აღდგენა და საბინაო ამხანაგობების დაფინანსება.ზამთრის პერიოდში განხორციელდება გზების ტექნიკური მარილით დამუშავება და ჭარბი თოვლისაგან გაწმენდა.

1.2.1 წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 01)

მოსახლეობის წყალმომარაგებით უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად საზრუნავს წარმოადგენს. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია სოფელ ნავარძეთში (სერის უბანი) დასოფელ სკინდორში.

1.2.2. სანიაღვრე არხები (პროგრამული კოდი 03 02 02) ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სანიაღვრე არხის რეაბილიტაციის საპროექტო სამუშაოები ცენტრალურ გზაზე.

1.2.3.დასუფთავების ღონისძიებები(პროგრამული კოდი 03 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ა(ა)იპ „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვისცენტრის“ დაფინანსება.

1.2.4. საყრდენი კედლის მოწყობა (პროგრამული კოდი 03 02 04)

ჭიათურის მთა-გორიანი მდებარეობის გამო მოსახლეთა ტერასული დასახლებიდან გამომდინარე საყრდენი კედლები მნიშვნელოვან როლს ასრულებს საცხოვრებელი თუ ინფრასტრუქტურული ობიექტების შეკავებისათვის. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საყრდენი კედლის აღდგენა აღმაშენებლის, წმ. გიორგის და თბილისის ქუჩებზე.

1.2.5.მუნიციპალიტეტის ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 02 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ლიფტების აღდგენა ქალაქის ტერიტორიაზე.(ვინაიდან აღნიშნული პროგრამის განხორციელება დაკავშირებულია მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ამხანაგობებთან თანადაფინანსების (ლიფტის აღდგენის ღირებულების 10%-ის დაფინანსება უნდა განხორციელდეს მათ მიერ) პრინციპით, აღდგება იმ მრავალსართულიანი სახლის ლიფტი, რომელიც აღნიშნულ პირობას დააკმაყოფილებს. აგრეთვე განხორციელდება მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლებისათვის სახურავი მასალის შექმნა.

1.2.6.გარე განათების აღდგენა (პროგრამული კოდი 03 02 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია გარე-განათების მოწყობა ქალაქის ტერიტორიაზე დარჩენილი ქუჩებისა და ჩიხების.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- ქალაქის ეკოლოგიური და სანიტარული მდგომარეობის განვითარება;
- მაწანწალა ცხოველების რაოდენობის შემცირება;
- დაზიანებული საყრდენი კედლების შემცირება;
- რეაბილიტირებული საცხოვრებელი კორპუსები;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ქალაქის გაუმჯობესებული სანიტარული პირობებით უზრუნველყოფა;
- მაწანწალა ცხოველებისაგან მოსახლეობის დაცვა;
- მოსახლეობის დაცვა სტიქიისაგან;
- კორპუსების მცხოვრებთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება;

1.3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის დასაბუთება, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე

ქალაქის გამწვანება და მოსახლეობის კულტურულ დასვენებაზე ზრუნვა ჭიათურის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს, რის გამოც იგეგმება მუნიციპალიტეტში არსებული სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობა და გამწვანება.

პროგრამის აღწერა

დაგეგმილია სკვერების მოწყობა და განაშენიანება.

1.3.1 მწვანე ნარგავების განაშენიანება, სკვერების მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 03 03 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქალაქის ტერიტორიაზე იაშვილის ქუჩისა და ნინოშვილის ე.წ. სიგულდას პარკი) ქუჩებზე სკვერების რეაბილიტაცია.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- ქალაქის სკვერებისა და პარკების იერსახის გაუმჯობესება;
- ქალაქის მწვანე ნაწილის გაფართოვება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- დამსვენებელთა ზრდა პარკებსა და სკვერებში;
- ეკოლოგიურად ჯანსარი ქალაქი;

2.0 განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა და ახალი ბაღების მშენებლობა. სკოლამდელი განათლების გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება ისეთი პროგრამების დაფინანსება, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსახლეობის დასაქმებას.

პროგრამული კოდი	ჭიათურის მუნიციპალიტეტი	2017 წლის გეგმა	2018 წლის პროექტი	2019წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი
04 00	განათლება	2584,081	2193.5	2293.5	2293.5	2293.5
04 01	სკოლამდელი განათლება	2583,381	2193.5	2293.5	2293.5	2293.5
04 02	ზოგადი განათლება	0,7	0.0	0,0	0,0	0,0

2.1 სკოლამდელი განათლება (პროგრამული კოდი 04 01)

პროგრამის დასაბუთება, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა და ახალი ბაღების მშენებლობა.

პროგრამის აღწერა

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს ააიპ მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღი რომელიც აერთიანებს 28 საბავშვო ბაღს, სადაც განათლებას იღებს 1650-დე ბავშვს. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს.

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს ა(ა)იპ „ჭიათურის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული საბავშვო ბაღი“, რომელიც აერთიანებს 28 საბავშვო ბაღს, სადაც განათლებას იღებს 1650-დე ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ააიპ გაერთიანებული საბავშვო ბაღის N1,2,3,4,7 განყოფილებების ეზოების რეაბილიტაციის საპროექტო სამუშაოები, N6,9,10,11 განყოფილებების და კაცხის განყოფილების შენობის საპროექტო და სარეაბილიტაციო სამუშაოები.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- აღსაზრდელთა შესაბამისი პირობებით უზრუნველყოფა;
- ბავშვების ფიზიკური და სულიერი აღზრდა შემდგომში მათი სწორი განვითარების მიზნით;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სათანადოდ აღჭურვილი საბავშვო ბაღები;
- ბავშვთა მაღალი აკადემიური მოსწრება;

3.0 კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად ერთად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. ასევე ახალგაზრდობში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს; რეაბილიტაცია ჩაუტარდება სახელოვნებო, სამუსიკო და სპორტულ სკოლებს.

პროგრამული კოდი	დასახელება	2017წლის გეგმა	2018 წლის პროექტი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	2851,077	3101,840	3199,840	3199,840	3199,840
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	1080,0	1205,662	1255,662	1255,662	1255,662
05 01 01	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება					

პროგრამული კოდი	დასახელება	2017 წლის გეგმა	2018 წლის პროექტი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი
05 01 02	სპორტული ობიექტების დაფინანსება	1080,0	1205,662	1255,662	1255,662	1255,662
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	1556,637	1746,178	1794,178	1794,178	1794,178
05 02 01	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება					
05 02 02	კულტურის ობიექტების დაფინანსება	1556,637	1746,178	1794,178	1794,178	1794,178
05 03	ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დაფინანსება	154,440	100,0	100,0	100,0	100,0
05 04	ეპარქიის ხარჯები	60,0	50,0	50,0	50,0	50,0

3.1. სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის დასაბუთება, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ორგანიზება.

პროგრამის აღწერა

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული სკოლების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. 2018 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და დაფინანსდება:

- ა) ააიპ N 27-ე კომპლექსური სპორტული სკოლა;
- ბ) ააიპ რაგბის სპორტული სკოლა;
- გ) ააიპ ბავშთა და მოზარდთა საფეხბურთო სკოლა

3.1.1 სპორტული ობიექტების დაფინანსება (პროგრამის კოდი 05 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ა(ა)იპ №27 კომპლექსური სასპორტო სკოლის დაფინანსება რომელიც აერთიანებს ძიუდოს, კრივის, მინი ფეხბურთის, ტაეკვანდოს, მძლეოსნობის, ცურვის, მაგიდის ჩოგბურთის, კალათბურთის, ფარიკაობის, კლასიკური ჭიდაობის, თავისუფალი ჭიდაობის, ქართული ჭიდაობის და ჭადრაკის სპორტულ წრეებს, სადაც გაერთიანებულია 560 სპორტსმენი. საკუთარი შემოსავალი განისაზღვრება აბონომენტებიდან და ბილეთებიდან (საცურაო აუზი) რომლითაც ძირითადად ფინანსდება ოფისის, სამედიცინო და სხვა ხარჯი.

ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება რაგბის სპორტული სკოლა, რომელიც აერთიანებს 108 სპორტსმენს. 2016 წლიდან სკოლაში ფუნქციონირებს სპორტული გუნდი, რომელიც მონაწილეობას იღებს საქართველოს ჩემპიონატში. ყველა ხარჯს აფინანსებს მუნიციპალიტეტი;

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო სკოლა, სადაც ვარჯიშობს 200-მდე ბავშვი. ყველა ხარჯს აფინანსებს მუნიციპალიტეტი;

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცხაურების მოწყობა ნაგუთის საფეხბურთო მოედანზე და განხორციელდება საცურაო აუზის რეაბილიტაცია (ე.წ. ც.დ.ფ-ს სპორტულ კომპლექსზე).

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა;
- ნიჭიერი სპორტსმენი ახალგაზრდების გამოვლინება;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

3.2. კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

პროგრამის დასაბუთება, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას.

პროგრამის აღწერა

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები. 2018 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება:

- ა) სსიპ კულტურულ შემოქმედებითი ცენტრი;
- ბ) ააიპ №1 მუსიკალური სკოლა;
- გ) ააიპ №2 მუსიკალური სკოლა;
- დ) ააიპ სამხატვრო სკოლა;
- ე) ააიპ ცენტრალური ბიბლიოთეკა;

3.2.2. კულტურის ობიექტების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია №1 და №2 სამუსიკო სკოლების დაფინანსება, სადაც მუსიკალურ განათლებას იღებს 510 ბავშვი, აქედან: სოციალურად დაუცველი ოჯახის ბავშვები 151 მოსწავლე, ლაურეატი 103 მოსწავლე, მრავალშვილიანი 56 მოსწავლე, ობოლი 20 მოსწავლე, ლტოლვილი 14 მოსწავლე და ესტრადისა და ფოლკლორის 54 მოსწავლე განთავისუფლებულნი არიან სწავლის ქირის გადასახადისგან. სწავლის გადასახადი ერთ ბავშვზე შეადგენს 15 ლარს თვეში. გადასახდს იხდის 112 მოსწავლე. სწავლის საფასური შეადგენს 15 ლარს. საკუთარი სახსრებით ნაწილობრივ ფინანსდება ხელფასი, ოფისის და სხვა ხარჯები. სუბსიდიით ფინანსდება ხელფასები და სხვა მიმდინარე ხარჯი. ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ სამხატვრო სკოლა, სადაც სამხატვრო განათლებას იღებს 35 ბავშვი.

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მთლიანად ფინანსდება ააიპ ცენტრალური ბიბლიოთეკა, რომელიც მოიცავს 23 ბიბლიოთეკას.

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ჭიათურის სასწავლო-საგანმანათლებლო და კულტურულ-შემოქმედებითი ცენტრი, რომელიც აერთიანებს სამუსიკო და საცეკვაო წრეებს, მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, მომღერალთა გუნდებს. ცენტრის საკუთარი სახსრებით ფინანსდება ხელფასი და ოფისის ხარჯები. სუბსიდიით ფინანსდება ხელფასის, ოფისის და სხვა მიმდინარე ხარჯი.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება N1 და N2 სამუსიკო სკოლების შიდა სარემონტო სამუშაოები, აგრეთვე განხორციელდება კულტურის სახლის ფასადის რეაბილიტაცია.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- მოსახლეობაში კულტურული ტრადიციების გავითარება;
- მოსახლეობის ჩართვა კულტურულ ღონისძიებებში;
- კულტურული ტრადიციების დაცვა და განვითარება;
- კულტურული ობიექტების მდგომარეობის გაუმჯობესება;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- კულტურულ ღონისძიებებში მონაწილე მოსახლეობის რაოდენობის ზრდა;
- კულტურული ღონისძიებების ინტენსიურობის მაჩვენებელი;
- რეაბილიტირებული კულტურული ობიექტები;

3.3.ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამის დასაბუთება, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში.

პროგრამის აღწერა

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება საქართველოს ღირსშესანიშნაობებისა და ისტორიული ძეგლების დასათვალისწინებლად მგზავრობის ხარჯები, ინტელექტუალურ-შემოქმედებითი ღონისძიებები, დასვენება გამაჯანსაღებელ ბანაკებში, წარმატებულ სპორტსმენთა დაჯილდოვება, წარმატებული ახალგაზრდების დაფინანსება, წარმატებულ სპორტსმენთა მწვრთნელების დაჯილდოვება, რეგიონალური და მუნიციპალურ ტურნირებში მონაწილე გუნდების და ინდივიდუალურად გამარჯვებული სპორტსმენების დაჯილდოვება, ოქროსა და ვერცხლის მედალოსანთა დაჯილდოვება, ახალგაზრდული ინიციატივების დაფინანსება, საქართველოს კუთხეების ღირსშესანიშნაობების დათვალიერება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- ახალგაზრდების ჩართულობა მუნიციპალიტეტის შემოქმედებით ცხოვრებაში;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების მოტივირება უკეთესი მომავლისათვის.

3.4.რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04)

პროგრამის დასაბუთება, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე

ჭიათურის მუნიციპალიტეტისათვის ერთერთი პრიორიტეტული ამოცანაა მოქალაქეებში რელიგიური მრწამსისა და კულტურის ამაღლება, სხვადასხვა სარწმუნოების მქონე ადამიანებისათვის საკუთარი რწმენისა და აღმსარებლობის აღსრულებისათვის ხელშეწყობა.

პროგრამის აღწერა

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე ზოგიერთ ტაძარსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდება მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- რელიგიური საგანმანათლებლო ორგანიზაციის და მოსახლეობაში მრწამსის ამაღლების ხელშეწყობა;
- შედეგების შეფასების ინდიკატორები:**
- რელიგიური განათლების სწორად ჩამოყალიბება.

4.0. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შედეგადად უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

პროგრამული კოდი	დასახელება	2017 წლის გეგმა	2018 წლის პროექტი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1287,216	1019,0	1119,0	1119,0	1119,0
06 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა	116,0	115,0	115,0	115,0	115,0
06 02	სოციალური პროგრამები	1171,216	904,0	1004,0	1004,0	1004,0
06 02 01	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	718.491	269.4	494,0	494,0	494,0
06 02 03	ომის ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯი	4,0	5,0	5,0	5,0	5,0
06 02 04	უფასო სასაბუღალტრო	93,084	138,0	138,0	138,0	138,0
06 02 05	მოსახლეობის სოციალური დაცვა	45.800	111.60	44,0	44,0	44,0
06 02 06	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	163.750	266.000	209,0	209,0	209,0
06 02 07	სტიქიური უბედურობების შედეგად მიყენებული მოსახლეობის დასახმარებლად	73,7	50,0	50,0	50,0	50,0

პროგრამული კოდი	დასახელება	2017 წლის გეგმა	2018 წლის პროექტი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი
06 02 08	ომის ვეტერანთა დახმარება	66,8	64,0	64,0	64,0	64,0
06 02 09	რეგრესის პენსია	5,591	0.0	0.0	0.0	0.0

4.1 ჯანდაცვის პროგრამები (პროგრამული კოდი 06 00)

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, აღნიშნულ ფარგლებში დაფინანსდება

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახური, კერძოდ:

- ა) არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება;
- ბ) დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება;
- გ) მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;
- დ) სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში (კერძო სექტორის გარდა) და ამის საფუძველზე ქალაქში ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება;
- ე) ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდებ დაავადებებისა და მასობრივი მოშხამვების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება;
- ვ) მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიებები.

4.1.1 საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა(06 01)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ა.ა.ი.პ. „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ჭიათურის მუნიციპალური სამსახური -ს“ დაფინანსებას.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფექციებისა და სხვადასხვა დაავადებათა ლიკვიდაცია და პრევენცია;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მოსახლეობის ინფორმირება ინფექციებისა და სხვადასხვა დაავადებათა შესახებ.

4.2. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამის დასახუთება, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე

ვითვალისწინებთ რა მუნიციპალიტეტში შექმნილ მძიმე სოციალურ ფონს , გაჭირვებული და მცირე შემოსავლის მქონე მოსახლეობის დაცვის მიზნით მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს მათთვის სოციალური დახმარებების გაწევას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, დევნილთა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების დახმარებას, სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

პროგრამის აღწერა

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ფინანსდება შემდეგი სოციალური პროგრამები:

- ა) ავადმყოფთა სოციალური დაცვა (1423-1523 ბენეფიციარი);
- ა.ა) სამკურნალო და საოპერაციო ხარჯების დაფინანსება (დაახლოებით 900-1000 ბენეფიციარი);
- ა.ბ) ჰემოდიალიზსა და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პირთა დახმარება(დაახლოებით 33 ბენეფიციარი);
- ა.გ) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება (დაახლოებით 470 ბენეფიციარი);
- ბ) ხანდაზმულთა დახმარება (დაახლოებით 26 ბენეფიციარი);
- გ) ომის ვეტერანის სარიტუალო მომსახურება(დაახლოებით 10-15 ბენეფიციარი);
- დ) ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა (დაახლოებით 1230-1380 ბენეფიციარი);
- ე) სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულთა დახმარება (დაახლოებით 20-30 ბენეფიციარი);
- ვ) დევნილთა სოციალური დაცვა (დაახლოებით 110 ბენეფიციარი);
- ზ) ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების დახმარება(დაახლოებით 30 ბენეფიციარი);
- თ) ომის ვეტერანთა დახმარება (დაახლოებით 300 ბენეფიციარი);
- ი) მარჩენალდაკარგულ პირთა დახმარება (დაახლოებით 300 ბენეფიციარი);
- კ) მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებში მცხოვრებ ოჯახთა დახმარება (დაახლოებით 14 ბენეფიციარი);
- ლ) უმწეო და მიუსაფარ ადამიანთა უფასო სასადილოთი მომსახურება (დაახლოებით 165 ბენეფიციარი);

4.2.1.ავადმყოფთა სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 01)

1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ანაზღაურდება შემდეგი სახის სამედიცინო მომსახურების ხარჯები:
- ა) გადაუდებელი და გეგმიური სტაციონარული სამედიცინო მომსახურების ხარჯები, რომელთა ფინანსურ უზრუნველყოფას არ ითვალისწინებს მოქმედი საყოველთაო სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამა, ჯანმრთელობის დაცვის სხვა სახელმწიფო პროგრამები და კერძო სამედიცინო სადაზღვევო კომპანიების მოქმედი პროგრამები.დაფინანსება მუნიციპალიტეტის მხრიდან განხორციელდება ბენეფიციარის მიერ გადასახდელი თანხის 40%-ით, წლის განმავლობაში არაუმეტეს 2500 ლარის ოდენობით;
 - ბ) ექიმის დანიშნულების მიხედვით სამედიცინო ლაბორატორიულ-ინსტრუმენტალური გამოკვლევების, მათ შორის მაღალტექნოლოგიური კვლევის ხარჯები. ასევე დაფინანსდება იმ ექიმი სპეციალისტის კონსულტაცია, რომელიც აუცილებელია კონკრეტული ლაბორატორიულ-ინსტრუმენტალური თუ მაღალტექნოლოგიური კვლევის განხორციელების პროცესში.დაფინანსება მუნიციპალიტეტის მხრიდან განხორციელდება ბენეფიციარის მიერ გადასახდელი თანხის 50%-ით, წლის განმავლობაში არაუმეტეს 500 ლარის ოდენობით;
 - გ) ამბულატორიულ ან/და სტაციონარულ დონეზე ჩასატარებელი გეგმიური სამედიცინო სამკურნალო/სარეაბილიტაციო პროცედურების ხარჯები, მხოლოდ ნერვ-კუნთოვანი დაზიანების მქონე პაციენტებისათვის 0-დან 14 წლამდე, ხოლო მოზრდილებისათვის მძიმე ფორმის შეძენილი ნერვ-კუნთოვანი დაავადების ან/და ტრავმის შედეგად განვითარებული ნერვ-კუნთოვანი დაზიანების შემთხვევაში. დაფინანსება მუნიციპალიტეტის მხრიდან განხორციელდება ბენეფიციარის მიერ გადასახდელი თანხის 40%-ით, წლის განმავლობაში არაუმეტეს 2500 ლარის ოდენობით;
 - დ) ონკოლოგიურ ავადმყოფთა ამბულატორიულ-სტაციონარული მკურნალობა, კერძოდ: ქიმიოთერაპია, ჰორმონოთერაპია, სხივური თერაპია, რომელთა ფინანსურ უზრუნველყოფას არ ითვალისწინებს მოქმედი საყოველთაო სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამა, ჯანმრთელობის დაცვის სხვა სახელმწიფო პროგრამები

და კერძო სამედიცინო სადაზღვევო კომპანიების მოქმედი პროგრამები. დაფინანსება მუნიციპალიტეტის მხრიდან განხორციელდება ბენეფიციარის მიერ გადასახდელი თანხის 40%-ით, წლის განმავლობაში არაუმეტეს 2500 ლარის ოდენობით;

ე) მშობიარობის, გართულებული მშობიარობისა და სამედიცინო ჩვენებით საკეისრო კვეთის დამატებითი ხარჯი, რომელიც არ ანაზღაურდება მოქმედი სახელმწიფო და კერძო სამედიცინო სადაზღვევო პროგრამების ფარგლებში. დაფინანსება მუნიციპალიტეტის მხრიდან განხორციელდება ბენეფიციარის მიერ გადასახდელი თანხის 40%-ით, წლის განმავლობაში არაუმეტეს 2500 ლარის ოდენობით;

2. დახმარების მიმღებია ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქე.

3. ჰემოდიალიზისა და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პირთა დახმარება, გაიცემა ყოველთვიურად 120 ლარის ოდენობით თითოეულ ბენეფიციარზე. აღნიშნული დახმარებით სარგებლობენ ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და ამავე დროს ფაქტობრივად მცხოვრები პირები, რომლებიც დაავადებულნი არიან თირკმლის ტერმინალური უკმარისობით და წარმოადგენენ ჰემოდიალიზის სახელმწიფო პროგრამის ბენეფიციარებს.

4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარება მიეცემა:

ა) ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირებს, კომუნალური გადასახადების გადახდის უზრუნველსაყოფად. აღნიშნულ ბენეფიციართა კატეგორიას დახმარება მიეცემა სეზონის მიხედვით: 01 ნოემბრიდან 01 მაისამდე - ყოველთვიურად 30 ლარის ოდენობით; 01 მაისიდან 01 ნოემბრამდე - ყოველთვიურად 20 ლარის ოდენობით.

ბ) ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს. აღნიშნულ ბენეფიციართა კატეგორიას დახმარება მიეცემა წლის განმავლობაში ერთჯერადად - 100 ლარის ოდენობით,

გ) ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ „სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 მაისის №141/ნ ბრძანებით განსაზღვრულ სიცოცხლისათვის საშიშ და „2016 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის №660 დადგენილების დანართი 17.2-ით განსაზღვრულ იშვიათი დაავადების მქონე მოქალაქეებს. აღნიშნულ ბენეფიციართა კატეგორიას დახმარება მიეცემა წლის განმავლობაში ერთჯერადად 150 ლარის ოდენობით, მხოლოდ დაავადების პირველი ტიპის მქონე პაციენტებს. სიცოცხლისათვის საშიში დაავადების მქონე პაციენტების სარეიტინგო ქულა უნდა არემატებოდეს 120000 ქულას.

დ) ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ, რადიოაქტიური ნივთიერების ზემოქმედების შედეგად დაავადებულ, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებს. აღნიშნულ ბენეფიციართა კატეგორიას დახმარება მიეცემა წლის განმავლობაში ერთჯერადად 100 ლარის ოდენობით.

მქონე პირებს, დახმარება გაეწევათ ერთჯერადად 100 ლარის ოდენობით.

4.2.2. ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯი (პროგრამული კოდი 06 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, ავღანეთის ომის და მეორე მსოფლიო ომის მებრძოლთა დალუპვის შემთხვევაში სარიტუალო მომსახურებისათვის დახმარების გაწევა. თანხის ოდენობა შეადგენს 250 ლარს.

4.2.3. უფასო სასადილო (პროგრამული კოდი 06 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სოციალურად დაუცველი, ფიზიკური ან/და გონებრივი შეზღუდვის მქონე პირების და მარტოხელა პირების (რომელთა ყოველთვიური შემოსავალი სახელმწიფოს მიერ დადგენილ საარსებო მინიმუმზე ნაკლებია და რომელსაც არ აქვს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა და სოფლის შინამეურნეობისაგან შემოსავალი) კვებით უზრუნველყოფა. მომსახურება გაეწევა 165 ბენეფიციარს.

4.2.4. მოსახლეობის სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 04)

1. დევნილთა სოციალური დაცვა;

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული დახმარება გაეწევა დევნილებს.

აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირებს დახმარება გაეწევა ერთჯერადად, თანხის მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 100 ლარს.

2. ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების დახმარება;

ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწევათ საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ მებრძოლთა და ომის შემდეგ გარდაცვლილთა ოჯახებს, დახმარება გაიცემა ერთჯერადად, თანხის მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 200 ლარს.

3. მარჩენალდაკარგულთა დახმარება;

ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება მიეცემა მარჩენალდაკარგულ პირს(ერთ-ერთი ან ორივე გარდაცვლილი მშობლის შვილს (შვილებს) 18 წლის ასაკის მიღწევამდე). წლის განმავლობაში ერთჯერ 100 ლარის ოდენობით.

4. ხანდაზმულთა დახმარება;

ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება მიეცემათ ხანდაზმულებს (95 წელი და ზევით) ერთჯერადად წელიწადში 500 ლარის ოდენობით.

4.2.5 ოჯახების და ბავშვების სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 05)

1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაიცემა შემდეგი სახის დახმარება:

ა) პირველი და მეორე შვილის დაბადებისას - 100 ლარი

ბ) მესამე შვილის დაბადებისას - 150 ლარი

გ) მეოთხე და შემდგომი შვილის დაბადებისას - 200 ლარი

მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მრავალშვილიან ოჯახებზე (4 და მეტი შვილი) გაიცემა ერთჯერადი დახმარება 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე 50 ლარის ოდენობით, ხოლო ბავშვს, რომელიც აგრძელებს სწავლას უმაღლეს ან პროფესიულ სასწავლებელში დახმარების მიცემა გაუგრძელდება 22 წლამდე.

2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარება მიეცემა ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფაქტობრივად მცხოვრებ შემდეგ ოჯახებს:

ა) შემოსავლის გარეშე მყოფ მარტოხელა მშობელს ან მეურვე/მზრუნველს, რომლებსაც ჰყავთ არასრულწლოვანი შვილი (შვილები);

ბ) შემოსავლის გარეშე მყოფ არასაპენსიო ასაკის მარტოხელა პირებს, რომელსაც არ ჰყავს მეუღლე და შვილები;

გ) შემოსავლის გარეშე მყოფ უსახლკარო ოჯახებს, რომელთაც არ გააჩნიათ ალტერნატიული საცხოვრებელი ფართი;

დ) შემოსავლის გარეშე მყოფ, უკიდურესად შეჭირვებულ ოჯახებს, რომლებსაც ჰყავთ არასრულწლოვანი ბავშვი (ბავშვები);

ბენეფიციარებს დახმარება მიეცემა წლის განმავლობაში ერთჯერადად 150 ლარის ოდენობით.

ე) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაიცემა დახმარება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე იმ მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებში მცხოვრებ ოჯახებზე, რომელთა ბინის ტექნიკური მდგომარეობა არაადამაკმაყოფილებელია და საფრთხის შემცველია ადამიანის ჯანმრთელობისათვის დასიცოცხლისათვის.

დახმარება გაიცემა საცხოვრებლით უზრუნველსაყოფად, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ საბანკო ანგარიშზე უნაღდო ანგარიშსწორებით, ყოველტვიურად დროებითი გამოსახლების დღიდან პრობლემის აღმოფხვრისათვის საჭირო შესაბამისი ქმედითი ღონისძიებების განხორციელებამდე, შემდეგი სახით:

ა) ერთ და ორ სულიან ოჯახებზე - 100 ლარის ოდენობით;

ბ) სამ და ოთხ სულიან ოჯახებზე - 150 ლარის ოდენობით;

გ) ხუთ და მეტსულიან ოჯახებზე - 200 ლარის ოდენობით;

4.2.6 სტიქიური უბედურების შედეგად მიყენებული ზიანის ხარჯი (პროგრამული კოდი 06 02 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული დახმარება გაიცემა სტიქიური მოვლენების და სხვა დაუძლეველი ძალის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის სოციალური დაცვისათვის, რომელსაც დაუზიანდა საცხოვრებელი სახლი ან/და სხვა დამხმარე შენობა-ნაგებობა ან რომელმაც მიიღო ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, ხოლო მოქალაქის გარდაცვალების შემთხვევაში - გარდაცვლილის ოჯახი. საცხოვრებელი სახლის დაზიანების შემთხვევაში დახმარების მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 5000 ლარს. დამხმარე შენობა-ნაგებობის შემთხვევაში დაზიანების შემთხვევაში დახმარების მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 1000 ლარს.

4.2.7.ომის ვეტერანთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული დახმარება მიეცემა მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს 500 ლარის ოდენობით. ავღანეთის ომის მონაწილეებს, საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლებს დახმარება გაეწევათ ერთჯერადად თანხის მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 200 ლარს.“

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- მუნიციპალიტეტში სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება;
- მუნიციპალიტეტში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება;
- უმწეო მდგომარეობაში მყოფი ადამიანების სასიცოცხლოდ აუცილებელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება;
- სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მოსახლეობის სოციალური დახმარებების დროული უზრუნველყოფა;
- შობადობის ზრდა 30%-ით;

5. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტში ხორციელდება სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის, წვევამდელთა სამედიცინო შემოწმებისა და ტრანსპორტირების ღონისძიებები.

პროგრამ. კოდი	დასახელება	2017 წლის გეგმა	2018 წლის პროექტი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი
02 00	თავდაცვა	120,985	120,00	120,00	120,00	120,00
02 01	საგანგებო სიტუაციების მართვა	0,00	0,00	0,00	0,00	0,00
02 02	საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების ხელშეწყობა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
02 03	ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა	120,985	120,00	120,00	120,00	120,00

5.1 ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03)
 პროგრამის დასაბუთება, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტში ხორციელდება სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის, წვევამდელთა სამედიცინო შემოწმებისა და ტრანსპორტირების ღონისძიებები.

პროგრამის აღწერა

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ჭიათურის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- არსებული რესურსებისა და თავდაცვის მოთხოვნების გათვალისწინებით ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაუმჯობესებისათვის მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა სამხედრო აღრიცხვის, სამხედრო სამსახურისათვის მომზადებისა და გაწვევის კოორდინაცია;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- საქართველოს სამხედრო ძალების ჯანმრთელი ახალგაზრდა თაობით უზრუნველყოფა. მოთხოვნის შესაბამისად წვევამდელთა დროული და მაქსიმალურ ზღვართან მიახლოება;

ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერი:

პაატა ნადირაძე

ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი:

მირიან მაჭარაშვილი